ხელშეკრულება № 1

ქ. თბილისი "15" იანვარი 2011 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 15 იანვარს ქ. თბილისში ერთის მხრივ სსიპ თბილისის № 202 უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლას (შემდგომში „დამკვეთი") და მეორეს მხრივ შპს„ალმა სერვისს "შემდგომში "მომწოდებელი") შორის და მოხდა შეთანხმება შემდეგზე:

I ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია კვების პროდუქტების მიწოდება. „მომწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „დამკვეთს " კვების პროდუქტები და ბოსტნეული.

კვების პროდუქტების და ბოსტნეულის მოწოდება მოხდება „დამკვეთსა" და „მომწოდებელს" შორის შეთანხმებული გრაფიკით.

ერთეულის ფასი – მოწოდების დროისათვის ორივე მხარისათვის მისაღები ფასი სულ შესყიდვის ღირებულებაა 4500 ლარი.

II უფლება - მოვალეობები

„მომწოდებული" ვალდებულია უზრუნველყოს მისაწოდებული პროდუქციის ხარისხი მოცულობა და მიწოდების ვადები. იგი ვალდებულია უზრუნველყოს წუნდებული პროდუქციის შეცვლა .

„დამკვეთი " იღებს ვალდებულებას აანალიზაუროს მიწოდებული პროდუქციის ღირებულება არაუგვიანეს მეორე დღისა.

III ანგარიშსწორების წესი

პროდუქციის მიღება დასტურდება საქართველოში არსებულ საანგარიშსწორებო დოკუმენტზე „მომწოდებლისა " და „ დამკვეთის " ხელმოწერით .
ანგარიშსწორების წესი – უნაღდო;
ანგარიშსწორება – ლარებში.

IV უფლებების გადაცემა

„მომწოდებელს "არა აქვს უფლება „დამკვეთის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად, ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება - მოვალეობები .

V ხელშეკრულების შესრულების შეფასება

თუ ხელშეკრულების შეფასების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება ,ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის ,მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. მიმღებმა მხარემ უმოკლეს დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

VI ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

VII ხელშეკრულების შეწყვეტა

„დამკვეთს" შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება „ მომწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

VIII სადავო საკითხების გადაწყვეტა

„დამკვეთი" და „ მომწოდებელი " პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში აგვარებენ ყველა უთანხმოებას და დავას,. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „დამკვეთი " და „მომწოდებელი " ვერ შესძლებენ სადავო საკითხის გადაწყვეტას , დავის გადასაჭრელად შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

IX სხვა პირობები

ხელშეკრულება ძალაში შედის დღიდან ხელმოწერისა და მოქმედებს 2012 წლის 1 იანვრამდე . იგი შედგენილია ორ ცალად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა

„დამკვეთი"	„მომწოდებელი"
დირექტორი	დირექტორი
სსიპ თბილისის 202-ე უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლა	შპს„ალმა სერვისი"
თბილისი,გუთნის ქ. 6	თბილისი,ჭყონდიდელის ქ.N20
საიდენტიფიკაციო N 206091398	საიდენტიფიკაციო N 200277832
ანგარიში GE64TB1100000340800008	ანგარიში GE57BR0000010553928223
სს„თიბისი ბანკის"მარჯანიშვილის ფილ.	სს„ბანკი რესპუბლიკა' სადგ..ფილ.
ბანკის კოდი 220101850	ბანკის კოდი 220101759